სს Hualing international special economic zone-ის
ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე -2-

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -7-

1.2 მოგება-ზარალის ანგარიშგება -8-

1.3 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -9-

1.4 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -11-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -13-

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს Hualing internationalspecial economic zone-ის აქციონერებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება Hualing internationalspecial economic zone ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან,

ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2018 წლის 23 ივლისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2016 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების კორექტირება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 25 დეკემბრის N3541აქტის საფუძველზე სს Hualing internationalspecial economic zone-ს დამატებით გადასახდელად დაერიცხა 1 354 031 ლარის გადასახადი (მათ შორის 889 324 ლარი ძირითადი თანხა და 464 707 ლარი ჯარიმა). სს Hualing international special economic zone არ ღიარებს ამ დარიცხვას და არ ასახა თავის ბუღალტრულ მონაცემებში. დავის დასრულებმდე ვერ შევძლებთ აღნიშნული გარემოების გავლენის შეფასებას მთლიან ანგარიშგებაზე. აღნიშნული საკითხი დეტალურადაა ახსნილი განმარტებით შენიშვნებში (განყოფილება 4)

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს Hualing internationalspecial economic zone-ისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 6 134 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. ამასთან დაგროვილი ზარალი შეადგენს 44 955 ათას ლარს.

ეს მოვლენა მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე სს Hualing internationalspecial economic zone-ის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა ავღნიშნავთ, რომ კომპანიის საკუთარი კაპიტალი ამ ზარალის გათვალისწინებით შეადგენს 522 262 ათას ლარს. ამასთან 2017 წლის ბოლოს მიმდინარე აქტივები 194 217 ათასი ლარით აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს. აღნიშნულ საკითხზე განმარტებები მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მე-3 განყოფილებაში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ: ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს Hualing internationalspecial economic zone-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს Hualing internationalspecial economic zone უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე

პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

შპს Hualing international special economic zone-ის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები		
ფულიდაფულისექვივალენტები	19 084 119	8 749 414
მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	7522717	6546227
გადახდილიავანსები	28 378 221	29 244 124
სასაქონლო-მატერიალურიფასეულობები	105 169 798	150 964 615
სხვა დარიცხულიმოთხოვნები	41 452 315	27 912 572
გაცემული სესხები	111 304 296	113 310 161
საგადასახადოაქტივი	26847817	20 271 760
სულმიმდინარეაქტივები	**339 759 283**	**356 998 873**
საინვესტიციო ქონება		
გრძელვადიანი ინვესტიციები	14 742 200	6 763 400
არამატერიალური აქტივები	1 592 093	1 544 574
ძირითადი საშუალებები	199 077 376	284 891 872
საინვესტიციო ქონება	161 283 299	15 461 351
სულგრძელვადიანიაქტივები	**376 694 968**	**308 661 197**
სულაქტივები	**716 454 251**	**665 660 070**
ვალდებულებები		
სავაჭროვალდებულებები	23 723 573	35265499
მოკლევადიანი სესხები	69 457 025	
გადასახდელი ხელფასები	389 503	151592
გადასახდელი პროცენტი	3 425 948	816873
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	48546045	46594256
მიმდინარევალდებულებები	**145 542 094**	**82 828 220**
გრძელვადიანისასესხოვალდებულებები	48649326	54435501
გრძელვადიანივალდებულებები	**48 649 326**	**54 435 501**
სულვალდებულებები	**194 191 420**	**137 263 721**
კაპიტალი		

სააქციოკაპიტალი	544 929 308	544 929 308
გაუნაწილებელიმოგება/დაუფარავი ზარალი	-44954786	-38821268
რეზერვები და სხვა დაფინანსება	22 288 309	22 288 309
მთლიანიკაპიტალი	**522 262 831**	**528 396 349**
მთლიანივალდებულებებიდაკაპიტალი	**716 454 251**	**665 660 070**

სს Hualing international special economic zone-ის
მოგება-ზარალის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში ი)

	2017 წელი	**2016 წელი**
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	58,852,956	47,943,404
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-34,414,505	-39,615,790
სხვა საწარმოო შემოსავალი	84,203	224,696
საერთო მოგება	**24,522,654**	**8,552,310**
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	-10,993,042	-11,323,409
იჯარის ხარჯი	-122,034	-183,411
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-1,736,637	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-815,098	-1,640,974.30
მარკეტინგული ხარჯი	-3,742,074	-2,478,031.29
მიწოდების სხვა ხარჯი	-3,564,487.1	-6,041,641
სხვა საოპერაციო ხარჯი		
დაცვის ხარჯი	-905,478	-510,672
დაზღვევის ხარჯი	-311,805	-279,984
კომუნალურიხარჯი	-2,577,882	-2,924,690
ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-687,163	-867,203
მივლინების ხარჯი	-303,379	-21,552
ავტომანქანის საექპლოატაციო ხარჯი	-56,383	-340,184

წარმომადგენლობითი ხარჯი	-221,026	-69,255
სხვა საგადასახადო ხარჯი	-1,083,840	
სამეურნეო ხარჯი	-241,240	-89,003
ჯარიმები და საურავები	-131,335	-159,160
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	**-2,970,249**	**-18,376,859**
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-8,553,108	-5,776,484
საპროცენტო შემოსავალი	12,597,429	10,750,404
საპროცენტო ხარჯი	-3,899,918	-1,013,454
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-3,307,671	4,546,945
მოგება დაბეგვრამდე	**-3,163,268**	**8,507,411**
მოგების გადასახადი	-	
წმინდ ამოგება	**-6,133,517**	**-9,869,447**

სს Hualing international special economic zone-ის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	2017 წელი	**2016 წელი**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**-44,246,205**	**-42,636,852**
წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან	45,908,875	35,851,931
სხვა შემოსულობები საოპერაციო საქმიანობიდან		3,471
მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-84,788,447	-79,272,612
გადახდილი ხელფასები	-3,977,700	-3,675,624
გადახდილი სხვა ანაზღაურება	-39,858	-512,125
გადახდილი გადასახადი	-524,028	-728,267

გადახდილი სხვა ხარჯები	-825,047	-277,308
დღგ-ის დაბრუნება	-	5,973,683
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-6,976,408**	**-50,416,302**
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	-7,978,800	-6,763,400
სესხის გაცემა	-34,373,930	-61,894,047
გაცემული სესხის დაბრუნება	34,859,150	17,363,093
მიღებული პროცენტი	517,172	878,052
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**57,652,275**	**28,206,888**
სესხის აღება	96,873,226	2,600,000
სესხის დაფარვა	-33,063,788	-4,886,800
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდ. აღება	45,064,622	31,999,339
გრძელვადიანისასესხოდასხვავალდ. დაფარვა	-49,987,043	-729,667
გადახდილი პროცენტი	-1,234,742	-775,984
სავალუტოკურსისეფექტი	**3,905,043**	**-1,767,003**
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**10,334,706**	**-66,613,268**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**8,749,414**	**75,362,682**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**19,084,119**	**8,749,414**

სს Hualing international special economic zone-ის
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ ზარალი	სულ
01 იანვარი, 2016	**544 929 308**	**22 288 309**	**(28 951 800)**	**538 265817**
შენატანები კაპიტალში	-		-	-
პერიოდის შემოსავალი	-		(9 869448)	(9 869448)
31, დეკემბერი, 2016	**544 929 308**	**22 288 309**	**(38 821248)**	**528 396369**
შენატანები კაპიტალში	-		-	-
პერიოდის შემოსავალი	-		(6 133517)	(6 133517)
31, დეკემბერი, 2017	**544 929 308**	**22 288 309**	**(44954765)**	**522 262852**

სს Hualing international special economic zone-ის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

---

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

სს Hualing international special economic zone (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება.

„კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. 22
სს Hualing international special economic zone-ის საქმიანობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს:

1. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების აგება და რეალიზაცია;
2. საკუთრებაში არსებული ფართების (საინვესტიციო ქონების) იჯარით გაცემა
3. საკუთრებაში არსებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ოპერირება

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ „კომპანია“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და უახლოეს პერიოდში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
განვლილ პერიოდში საწარმო ფინანსურად ზარალიანი იყო (დაგროვილმა ზარალმა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითშეადგინა 44 955 ათასი ლარი).
აღნიშნული ზარალის ძირითადი მიზეზია ის გარემოება, რომ საწარმომ ოპერირება დაიწყო 2012 წელს. პირველ ეტაპზე მიმდინარეობდა მშენებლობები და ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ ეტაპზე, უშუალოდ წარმოების გარდა გაწეული იქნა ადმინისტრაციული, სარეკლამო და სხვა ხარჯები, რამაც გამოიწვია უარყოფითი ფინანსური შედეგები. პარალელურად ჩვენსა და საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, გავწიეთ ხარჯები სხვა სოციალური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს კაპიტალი (ზემოაღნიშნული ზარალის გათვალისწინებით) შეადგენს 522 262 ათას ლარს. ამასთან მიმდინარე აქტივები (339 759 ათასი ლარი) 194 217 ათასი ლარით აჭარბებს მის მიმდინარე ვალდებულებებს (145 542 ლარი). აღნიშნული წარმოადგენს ცალსახა დადასტურებას კომპანიის სიცოცხლისუნარიონობასთან დაკავშირებით.

4. დავა საგადასახადო ორგანოებთან

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 25 დეკემბრის N3541 აქტის საფუძველზე სს Hualing internationalspecial economic zone-ს დამატებით გადასახდელად დაერიცხა 1 354 031 ლარის გადასახადი (მათ შორის 889 324 ლარი ძირითადი თანხა და 464 707 ლარი ჯარიმა).
ჩვენ არ ვეთანხმებით ამ დარიცხვას. ჩვენს კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის 2012 წლის 30 მარტს გაფორმდა საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც ჩვენის მხრივ შეთანხმებული იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან. სწორედ ამ ხელშეკრულების პირობები წარმოადგენდა, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჰუალინგ ჯგუფისათვის საქართველოში ინვესტირების დაწყებაზე თანხმობის მიღების საფუძველს. ამ ხელშეკრულების შესაბამისად ჩვენ განთავისუფლებული უნდა ვყოფილიყავით ყველა გადასახდისაგან ინვესტირების პერიოდში
შემდგომ ეტაპზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც

გადასახადებში შეღავათების კუთხით გარკვეულ შეუსაბამობაშია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებასთან.
ამ კანონის მიღების შემდეგ არაერთხელ გვქონდა შეხვედრა საგადასახადო ორგანოების პასუხისმგებელ პირებთან. ისინი იზიარებენ ჩვენს პოზიციას, თუმცა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა (კანონში ცვლილების შეტანა) დღემდე არ მომხდარა.
საგადასახადო შემოწმებისას დარიცხვა განხორციელდა ზემოხსენებული კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაც გახდა დარიცხვის საფუძველი.
აღნიშნული თანხები დარიცხულია 2014 წლის საქმინაობის შემოწმების შედეგად. ანალოგიური პრობლემა წარმოიშობა მომდევნო პერიოდზეც.
თუ ქართული მხარე არ უზრუნველყოფს პრობლემის აღმოფხვრას იძულებული ვიქნებით დავა გავაგრძელოთ (ამ დავაში სავარაუდოდ ჩაერთვება ჩინეთის მხარეც).

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

5.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.
უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

5.2 ძირითადი საშუალებები

5.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ

შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

5.2.2 ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.
სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები	20 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	5 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წლამდე

5.2.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.
აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

5.3 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების

გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

5.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.
შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისიღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

5.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

5.6 ფინანსური ინსტრუმენტები

5.6.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.
„კომპანია“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს გრძელვადიანი სესხის სახით არსებულ ფინანსურ აქტივს.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

5.6.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.
„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

შემდგომი შეფასება

სესხები და კრედიტები

მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (IRR) გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.
როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

5.6.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

► აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან

► ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

5.7 გადასახადები

5.7.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.7.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

5.8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

5.9 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

სახელმწიფო ტენდერები

სახელმწიფო ტენდერების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ონლაინ ტენდერებში გამარჯვების შედეგად საქონლის მიწოდება კონტრაგენტისათვის.

5.10 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
► არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ინფორმაცია კომპანიის დაზღვევის სფეროების/სახეობების შესახებ
კომპანიების ჯგუფის ზოგადი პოლიტიკაა საოპერაციო საქმიანობისას ყველა შესაძლო რისკის დაზღვევა, რომელიც მოიცავს:

- ძირითად საშუალებებსა და რემონტს
- მარაგებს
- გადაზიდვებს და პასუხისმგებლობას
- იმპორტირებულს საქონელს გზაში

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა შენობები გზები ნარგავები	ტექნიკა; მანქანა-დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი;ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ამორტიზირებადი	საინვესტიციო	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარი	252583078	655008	5827387	5913621	532826		265511920
1 იანვარი, 2016 წელიაკუმულირებულიცვეთა	407401	31230	470346	2574286	167915		3651178
1 იანვარი, 2016 წელიწმინდასაბალანსოღირებულება	252175677	623778	5357041	3339335	364911		261860742
კაპიტალიზირება	40491916						40491916
შესყიდვები	38610	18248	1603259		2116932		3777049
საინვესტიციო ქონება	(15900708)					15900708	
რეალიზებული აქტივი							
31 დეკემბერი 2016 აკუმულირებულიცვეთა	3111229	109123	1459409	3757010	551533	439357	9427661
31 დეკემბერი 2016 წმინდასაბალანსოღირებულება	274101667	564133	5971237	2156611	2098224	15461351	300353223
კაპიტალიზირება	68161461						68161461
შესყიდვები	1009028	52949	578993	375147	122553		2138670
საინვესტიციო ქონება	(146457976)					146457976	308,668,127
რეალიზებული აქტივი	1736637			2934			1739571
31 დეკემბერი 2017 აკუმულირებულიცვეთა	8186792	187023	2859089	4724427	948053	1075385	17980769
31 დეკემბერი 2017 წმინდასაბალანსოღირებულება	190001980	539182	5150550	1561407	1824257	161283299	360360675

8. გრძელვადიანი ინვესტიცია

კომპანიას არამაკონტროლებელ წილს ფლობს შემდეგ საწარმოებში

- შპს ჰაინინგ ჰოუმ პროდაქთს ჯორჯია (ს/ნ 406205850) 30%
- შპს ეიჩესდი ინთერნეიშენალ (ს/ნ 406206582) 30%

9. საინვესტიციო ქონება

კომპანიას იჯარით აქვს გაცემული მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების ნაწილი. აღნიშნული ქონება სრულად აკმაყოფილებს „საინვესტიციო ქონება“ ბასს 40 -ით განსაზღვრულ საინვესტიციო ქონების მოთხოვნებს. შესაბამისად „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ ბასს 1-ის 54-ე პუნქტის შესაბამისად ცალკეა აღრიცხული.

10. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარი	**214478**
1 იანვარი, 2016 წელი აკუმულირებული ცვეთა	
1 იანვარი, 2016 წელი წმინდა საბალანსო ღირებულება	**214478**
შესყიდვები	**1 330 096**
რეალიზებული აქტივი	-
31 დეკემბერი 2016 აკუმულირებული ცვეთა	
31 დეკემბერი 2016 წმინდა საბალანსო ღირებულება	**1544574**
შესყიდვები	47519
რეალიზებული აქტივი	-
31 დეკემბერი 2017 აკუმულირებული ცვეთა	
31 დეკემბერი 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება	**1592093**

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობე და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2017	2016
მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7 522 717	6 546 227

კომპანიის მიერ გაცემული სესხები	**2017**	**2016**
სს "Ruilong Industrial Investment	6,208,800	5,588,000
შპს "HUALINGKR"	206,397	206,397
შპს "Huaqiang Building"	532,000	532,000
სს "Ruilong Industrial Investment"	200,000	200,000
შპს "Safe We Investment"	16,000	16,000
შპს "gold leaf"	230,000	230,000
შპს "ეიჩესდი ინთერნეიშენალ"	100,000	
მაივეი ეარლაინს კო ლტდ	50,000	50,000
საქართველო-კავკასიის კვებისა და სასმელის ჯგუფი	30,000	30,000
უცხოური საწარმოს ფილიალი ჩინეთის მეტალურგიული მშენებლობისა და ინჟინერიის ჯგუფი კო-ს საქართველოს ფილიალი 406111835		20,000
სს "ფანდ ინვესთმენთ"	200,000	200,000
შპს "ჩინური სამშენებლო მასალები საქართველოში"	105,939	105,939
შპს "ძინხუა ინტერნეიშენალ გრუპ კო"	20,000	20,000
სს "Ruilong Industrial Investment"	82,240,158	83,972,398
შპს "ეკომაქს ინთერნეიშენალ"	388,830	397,020
სს "ფანდ ინვესთმენთ"	19,707,651	20,652,117
სხვა	1,068,521	1,090,290
ჯამი	**111 304 296**	**113 310 161**

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2017	2016
მარაგები	6 368 641	6 474 335
დაუმთავრებელი	23 027 613	73 317 347
მზა პროდუქცია	75 722 743	71 172 592
სხვა	50801	340
ჯამი	**105 169 798**	**150 964 614**

13. გადახდილი ავანსები

	2017	2016
წინასწარ გაწეული ხარჯი	135967,49	12431
გადახდილი ავანსი	28242254	29231693
ჯამი	**28378221**	**29244124**

14. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2017	2016
ნაღდი ფული სალაროში	166216	116956
საბანკო ანგარიშები	18917903	8632458

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია ბაზისბანკებში.

15. შემოსავლები.

კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყაროებია:

- ბინების რეალიზაცია;
- ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს შემოსავლები
- საინვესტიციო ქონების გაქირავება
- სხვა შემოსავლები.

შემოსავლების მოცულობები ასეთია

	2017	2016
ბინების რეალიზაცია	35622021.47	32659070.07
სასტუმროს შემოსავლები	20807742.17	13812566.71

საიჯარო ქირა	1627346.67	1001379.52
სხვა შემოსავლები	795845.44	470387.47
სულ	**58852955.75**	**47943403.7**

16. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2017	2016
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	23 723 573	35 265 499
მიღებული ავანსები	47 983 845	46431733
გადასახდელი ხელფასები	389 503	151 592

სასაქონლო კრედიტორული დავალიანება კონტროლდება მხარეების მიერ და შეთანხმებულ პირობებთან სრულ შესაბამისობაშია, რაც დასტურდება რეკონსილაციის აქტებით.

მომსახურების კრედიტორული დავალიანება მოიცავს კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებულ სარეკლამო მარკეტინგულ და ლოჯისტიკურ მომსახურებებს.

სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შედის კომპანიის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურებები.

სავალუტო კურსები

ვალუტა	31/12/2017
1 აშშ დოლარი (USD)	2.5922
1 ევრო (EUR)	3.1044
10 ჩინური იუანი (CNY)	3.8294

HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE" JSC * 404934381

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს Hualing internationalspecial economic zone-ის აქციონერებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება Hualing internationalspecial economic zone ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან,

ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს (ან უტყუარად და სამართლიანად ასახავს) სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2018 წლის 23 ივლისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2016 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა ფინანსური მდგომარეობის, მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების კორექტირება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 25 დეკემბრის N3541აქტის საფუძველზე სს Hualing internationalspecial economic zone-ს დამატებით გადასახდელად დაერიცხა 1 354 031 ლარის გადასახადი (მათ შორის 889 324 ლარი ძირითადი

თანხა და 464 707 ლარი ჯარიმა). სს Hualing international special economic zone არ ღიარებს ამ დარიცხვას და არ ასახა თავის ბუღალტრულ მონაცემებში. დავის დასრულებამდე ვერ შევძლებთ აღნიშნული გარემოების გავლენის შეფასებას მთლიან ანგარიშგებაზე. აღნიშნული საკითხი დეტალურადაა ახსნილი განმარტებით შენიშვნებში (განყოფილება 4)

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სს Hualing internationalspecial economic zone-ისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 6 134 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. ამასთან დაგროვილი ზარალი შეადგენს 44 955 ათას ლარს.

ეს მოვლენა მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე სს Hualing internationalspecial economic zone-ის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა ავღნიშნავთ, რომ კომპანიის საკუთარი კაპიტალი ამ ზარალის გათვალისწინებით შეადგენს 522 262 ათას ლარს. ამასთან 2017 წლის ბოლოს მიმდინარე აქტივები 194 217 ათასი ლარით აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს. აღნიშნულ საკითხზე განმარტებები მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მე-3 განყოფილებაში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და

ALTER EGO

განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ: ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური

ALTER ECO

ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სს Hualing internationalspecial economic zone-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს სს Hualing internationalspecial economic zone-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება სს Hualing internationalspecial economic zone უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან

ALTER EGO

დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ALTER EGO

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახობაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახობაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი

შპს აუდიტორული კომპანია „ალტერ ეგო“

ALTER EGO

მმართველობითი ანგარიში

სს HUALING SPECIAL ECONOMIC ZONE არის საინვესტიციო კომპანია, რომელიც დაარსდა 2012 წელს. საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ინვესტორმა შეიძინა ქ.თბილისში მიწის ნაკვეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა მშენებლობა. პროექტი ორიენტირებულია თბილისის ამ ნაწილის ურბანულ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

2012 წლიდან დღემდე ზემოხსენებულ ტერიტორიაზე უკვე 39 დასრულებული კორპუსია. მშენებლობა კი გრძელდება – მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, სააგარაკო სახლები და ტურისტულ-დასასვენებელი ზონა; დასრულებულია 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, საერთაშორისო სავაჭრო და ლოჯისტიკური ცენტრი და საბაჟო საწყობი.

ტერიტორიაზე განთავსდა ოლიმპიური სოფელი, რომელმაც 2015 წელს უმასპინძლა თბილისის რიგით მე 13 -ე ევროპის ახალგაზრდულ ოლიპიურ ფესტივალს.

„ჰუალინგი. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი“ სამშენებლო ფართის მოცულობა შეადგენს 4 მილიონ კვადრატულ მეტრს, რომელთაგან 2 მილიონი განკუთვნილია საცხოვრებელი ზონის მშენებლობისათვის, ხოლო დარჩენილი 2 მილიონი კვადრატული მეტრი კი განსაზღვრულია კომერციული ფართებისთვის და სარეკრეაციო ზონებისთვის. საცხოვრებელი ზონა მოიცავს: მაღალსართულიან, მრავალბინიან საცხოვრებელ ზონას და სააგარაკო სახლების კერძო დასახლებას. კომერციული ზონა კი სხვადასხვა ობიექტებს, როგორიცაა სავაჭრო, ლოჯისტიკური, გასართობი და გამაჯანსაღებელი ცენტრები.

კომპანიამ საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად სრულად შეასრულა საქართველოს მთავრობასთან აღებული ნაკისრი ვალდებულებები და აგრძელებს ინვესტიციების შემოტანასა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ორგანიზაციის სტრუქტურა

ჩვენი კომპანიის სტრუქტურა იცვლებოდა მისი განვითარების ეტაპების შესაბამისად. კომპანიის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკვანძო ფასეულობების განსაზღვრა, ამიტომ კომპანიაში შეიქმნა მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურები, რაც ამარტივებს კლიენტებთან ურთიერთობას. ახალმა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ გააუმჯობესა კომპანიის კომერციული და ფინანსური მდგომარეობა,

ბიზნეს მოდელი

ჩვენთვის მნიშვენელოვანია შევქმნათ მომხმარებლებზე ორიენტირებული ბიზნესი.

ერთ სივრცეში გაერთიანებულია:

- საცხოვრებელი კორპუსები
- სავაჭრო ცენტრი
- ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო
- სპორტულ – გამაჯანსაღებელი ცენტრი
- 500 ათასი კვ.მ. სარეკრეაციო ზონა
- საავადმყოფო

ჩვენი სურვილია მომხმარებელთან ჩამოვაყალიბოთ გულისხმიერი და კეთილსინდისიერი ურთიერთობა, რომელიც შექმნის გარემოს სადაც ყველას ენდობი და მუდამ შენზე ზუნავენ, აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია მომხამარებელს სთავაზობს გადახდის მარტივ პირობებს, ყველაზე მოთხოვნად ფართებს ოპტიმალური გეგმარებითა და სასურველი ინტერიერით,

თბილისის ზღვის სავაჭრო პლაზაში ჩვენ ვთავაზობთ მომხმარებელს კეთილმოწყობილ ფართებს მათი ბიზნესის დასაწყებად და განვითარებისთვის, პლაზა სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნების შესაბამისად, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, რაც უზრუნველყოფს ჩვენი მომხმარებლის უსაფრთხოებას.

თბილისის ახალი „სავიზიტო ბარათი“ – თანამედროვე ევროპულ სტილში აშენებული სასტუმრო „**ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი**“ სტუმრებს 246 ოთახს სთავაზობს. ბუნებრივი, კომფორტული და ელეგანტური გარემო შესაძლებლობას გაძლევთ სასიამოვნოდ გაატაროთ დრო და სრულყოფილად დაისვენოთ. მეტი კომფორტისათვის სასტუმრო გთავაზობთ ბარ-რესტორნებს ევროპული, აზიური და ქართული ტრადიციული სამზარეულოთი, რეკრეაციულ ცენტრს 25 მ-იანი შიდა საცურაო აუზით, სპორტული დარბაზებით და 3D გოლფის სიმულაციური ოთახებით, მყუდრო და სრულად აღჭურვილ საკონფერენციო სივრცეს 800 $მ^2$ საბანკეტო დარბაზითა და 6 დამატებითი შეხვედრების ოთახით.

კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია შევთავაზოთ მომხმარებელს საცხოვრებელი ბინები და მომსახურება მაღალი ხარისხითა და საუკეთესო ფასებით სასიამოვნო გარემოში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორ მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდიერად ვემსახუროთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე რაც საშუალებას გვაძლევს მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.
-

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავალმა 2017 წელს შეადგინა 58 852 956 ლარი. 2016 წელთან შედარებით ერთობლივი შემოსავალი გაიზარდა 22.7%.

აქტივების ჯამური მოცულობა 2017 წლის ბოლოს შეადგენს 716454251 ლარს. წინა წელთან შედარებით აქტივების მოცულობა გაიზარდა 7.6% ით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- **შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა**

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანია HUALING SPECIAL ECONOMIC ZONE-ს ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- **თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე., რაც გამოიხატება:

- არსებული/გამოცდილი თანამშრომლებისთვის პერიოდული ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- სტაჟირების პროგრამა, რაც ითვალისწინებს შესაბამისი განათლების მქონე კანდიდატებისთვის თეორიულ და პრაქტიკულ კურსს.

კომპანიაში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემაც, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ არა მხოლოდ პროფესიულად (ჰორიზონზე), არამედ პოზიციურად (სტრუქტურაში ვერტიკალზე). აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

- **თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები**

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

სამოტივაციო სისტემა ასევე მოიცავს ფინანსურ მოტივატორებს, როგორებიცაა:

- შემუშავებული საბონუსე სისტემა;
- ხელფასის მატების სისტემა;
- გუნდური და ინდივიდუალური კონკურსები (შეჯიბრებები) და შესაბამისი ჯილდოები;
- საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა და დაჯილდოვება;
- საუკეთესო შედეგების მიღწევის შემთხვევაში გუნდური გასვლითი ღონისძიებები.

ბაზარი, სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

საქართველოში ბინათ მშენებლობისა და სასტუმრო მომსახურების ბაზარი კონკურენტულად განვითარებულია. ბაზარზე კომპანიის დამკვიდრება და ცნობადობის ამაღლება დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, ამისათვის ჩვენი მიზანია სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით, გამორჩეული

დიზაინით, უმაღლესი ხარისხის მშენებლობითა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ ბაზარზე.

კომპანია აღნიშნული პროექტების განხორციელების პარალელურად, ასევე, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით და ცდილობს შეესაბამებოდეს ბუნების დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ბუნების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის მოვალეობაა და სწორედ ამიტომ ჩვენი ტერიტორია მოიცავს რეკრიაციულ ზონას სადაც გაშენდა პარკი, დაირგო მრავალწლიანი ნარგავები და ამ კუთხით განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები.

რისკების მართვა

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონერებისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისივე საქმიანობის ფარგლებში. ძირითადი დამახასიათებელი რისკებია: საბაზრო ცვალებადობასთან დაკავშირებული რისკები, სავაჭრო და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკები.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორცილედება კომპანიის მიერ დადგენილი სტანდარტების და პროცედურების მიხედვით. ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის და ადრეული რისკების გამოვლენის მიზნით. კომპანიის რისკების მართვის პროცესები მოწმდება კომპანიის მმართველი რგოლის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ასევე პროცედურებთან შესაბამისობას. კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში შეიძლება აღმოჩნდეს პოტენციური რისკების წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის ფინანსურ შედეგებზე და ამგვარად

ხელი შეუშალონ სტრატეგიული ამოცანების დაგეგმილ დროში მიღწევას. ამიტომ კომპანიამ შეიმუშავა რისკების შემცირებისათვის აუცილებელი ზომები:

1. კომპანიის ფინანსური სტაბილურობის გაზრდა
2. კომპანიის ღირებულების დაკარგვის შესაძლებლობის შემცირება
3. კომპანიის მმართველი რგოლის მიერ რისკების კონტროლი და მართვა
4. კომპანიის ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა

კომპანია რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. კომპანია დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოჯისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის, მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

ინვესტიციები

კომპანიაში ინვესტიციები განახორციელა ჰუალინგ ჯგუფმა, რომელიც 1988 წელს დაარსდა ჩინეთში, ქ, ურუმჩიში . აღნიშნულმა ჯგუფმა საქართველოში ინვესტირება 2007 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება დასახული პროექტების განსახორციელებლად.

კომპანიის განვითარების გეგმა

სს HUALING SPECIAL ECONOMIC ZONE არის დინამიურად განვითარებადი კომპანია. მართალია კომპანიის საქმიანობა ინვესტირების პირველ ეტაპზე ზარალიანია , რაც ჩვენთვის მოსალოდნელი იყო, კომპანია აგრძელებს საქმიანობას და მომდევნო წლებში გეგმავს სხვადასხვა პროექტების განხორციელებას:

- სკოლის მშენებლობა ,
- სამ ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა,
- ვილების მშენებლობა
- თოთხმეტი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება,

ამდენად კომპანია აშენებს თავის გრძელვადიან განვითარებას არა მხოლოდ კომერციულ ინტერესებზე, არამედ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპებზე, ასევე ბიზნესის კეთების ეთიკურ ნორმებზე და ყოველთვის ინარჩუნებს ბალანსს ბიზნესსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. კომპანია ისწრაფვის შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში.

სს HUALING SPECIAL ECONOMIC ZONE-ს

დირექტორი: სიაოწინ შაო

HUALING INTERNATIONAL SPECIAL ECONOMIC ZONE JSC
404934381